

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების
მანდატურის სამსახურის
ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი



2022

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრმა მოცემული სარეკომენდაციო გზამკვლევი იმ უფროსებისთვის და მასწავლებლებისთვის მოამზადა, რომლებსაც აინტერესებთ, როგორ ესაუბრონ ბავშვებს მსოფლიოში არსებულ რთულ საკითხებზე.

ჩვენი მიზანია, ავიღოთ სოციალური პასუხისმგებლობა და განათლების სფეროში მომუშავე პროფესიონალებს მივცეთ რჩევა, თუ როგორ განავითარონ მოსწავლეებში რწმენა და უნარები უსაფრთხო, მდგრადი, დემოკრატიული და სამართლიანი სამყაროს შესაქმნელად.

1. რამდენად უსაფრთხოა ბავშვებისთვის მედიით გაშუქებული ტრაგედიების, მათ შორის ომის ყურება?

ეს დამოკიდებულია ბავშვის ასაკსა და სიმწიფეზე. არსებობს უამრავი კვლევა, რომელიც ადასტურებს, რომ ძალადობრივი ან ტრაგიკული მოვლენების სატელევიზიო გაშუქების ყურება დაკავშირებულია შემდგომში პოსტტრავმული სიმპტომოლოგიის გაზრდილ მაჩვენებელთან (შფოთვა, ძილის დარღვევები და ა.შ.). ამიტომ მნიშვნელოვანია ბავშვების სატელევიზიო გადაცემებთან წვდომის ზედამხედველობა. განსაკუთრებით საყურადღებოა, შევზღუდოთ მცირეწლოვან ბავშვებზე ძალადობის ამსახველი გრაფიკული სურათების ჩვენება.

თუმცა, თუ ბავშვები ომის შესახებ გადაცემებს მაინც უყურებენ, ჩვენ გირჩევთ, რომ მშობელმა ან აღმზრდელმა მათთან ერთად უყურონ. ერთობლივი საუბარი და დისკუსია დაეხმარებათ ბავშვებს მოვლენის სწორ აღქმაში, გააზრებასა და მგრძობელობაში.

2. როგორ შეგვიძლია მივხვდეთ, არის თუ არა ბავშვი მზად ისაუბროს მსოფლიოში მიმდინარე რთულ მოვლენებზე?

ოთხიდან ხუთ წლამდე და უფროსი ასაკის ბავშვების უმეტესობა სიამოვნებით ესაუბრება სანდო და მხარდამჭერ ზრდასრულს სხვადასხვა საკითხზე. მედიაში ყოველდღიურად განიხილება რთული თემები და სავარაუდოდ, ბავშვებმა იციან ამის შესახებ. თუმცა ზოგჯერ, მათ აქვთ გარკვეული დაბნეულობა ფაქტებთან და საფრთხის მასშტაბთან დაკავშირებით, უჩნდებათ ეჭვები და კითხვები საკუთარი უსაფრთხოების შესახებ. უმცროსი ასაკის ბავშვები ხშირად აერთიანებენ ფაქტებს, მათ საკუთარ გამოცდილებას გასაოცარი გზებით უკავშირებენ და აზვიადებენ, რამაც შეიძლება შიშის გრძობა გაზარდოს. მაგალითად, შეიძლება სჯეროდეთ, რომ თუ თვითმფრინავები ისვრიან ბომბებს, როდესაც სხვადასხვა სახლის თავზე დაფრინავენ, ესე იგი, მათი სახლის თავზე გადაფრენილი ყველა თვითმფრინავი ბომბს ჩამოაგდებს. ბავშვებს უჭირთ დასვან კითხვები უფროსებთან, თუ ამ კითხვებზე პასუხი შიშისმომგვრელია. ამ მიზეზით, ჩვენ გირჩევთ, რომ უფროსებმა შექმნან სანდო სივრცე, რათა ბავშვებს თავიანთი ფიქრების გაზიარება გაუადვილდეთ.

3. როგორ გავხსნათ თემა მოსწავლეებთან?

მთავარი ტექნიკა აქ არის მოსმენა. ექსპერტების უმეტესობა თანხმდება, რომ უმჯობესია არ დავიწყოთ ბავშვებთან საუბარი მათთვის ლექციის წაკითხვით, პირდაპირ მზა ინფორმაციის მიწოდებით კონკრეტულ ტრაგედიაზე, რომელიც აქტუალურია. ნუ დავტვირთავთ ბავშვებს იმ ინფორმაციით, რისთვისაც ისინი შეიძლება არ იყვნენ მზად. საუკეთესო მიდგომაა ყურადღებით მოვუსმინოთ მოსწავლის სპონტანურ კითხვებსა და კომენტარებს და შემდეგ ვუპასუხოთ მათ სათანადო, ასაკისა და მზაობის შესაბამისი, დამხმარე გზით. ნება მივცეთ ბავშვებს, შეშფოთება და შიში მათივე სიტყვებით გადმოსცენ, წარმართონ დისკუსია, მისცენ მიმართულება და სიღრმე. თუ ისინი არ წამოჭრიან საკითხს, შეგვიძლია საუბარი კითხვების დასმით გამოვიწვიოთ. მაგალითად, მცირე ასაკის ბავშვებს ვკითხოთ: „გსმენიათ რამე ქვეყნის შესახებ, რომელსაც უკრაინა ჰქვია?“

4. რა უნდა ვქნა, თუ მოსწავლე არასდროს წამოჭრის თემას? უნდა დაველოდო, თუ შემიძლია რამე გავაკეთო?

ზოგიერთმა მოსწავლემ შეიძლება არ წამოჭრას თემა, რადგან მას ეს არ აინტერესებს; სხვებმა შეიძლება ისაუბრონ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ თემაზე ძალიან სწუხან. ზოგს ეშინია მშობლის ან მასწავლებლების გაღიზიანების, მაშინ, როცა სხვები თავიანთი გრძნობებით ზედმეტად გადატვირთულნი არიან და გადმოსაცემად ფორმას ვერ პოულობენ. როგორც უფროსებს, ჩვენ, შეგვიძლია, მინიმუმ, შევეცადოთ შევაფასოთ, როგორ გრძნობენ თავს ბავშვები, რათა გადავწყვიტოთ, არის თუ არა დისკუსია მიზანშეწონილი.

ბავშვებს, რომლებიც განცდებში არიან, მაგრამ უჭირთ თავიანთ წუხილზე საუბარი, შეიძლება განსაკუთრებული ყურადღება დასჭირდეთ. შეიძლება სასარგებლო იყოს, თუ საუბარს მსუბუქად წამოვიწყებთ. შესაძლოა, დავუსვათ გამხსნელი კითხვები, როგორიცაა: „რას ფიქრობთ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით?“ მოგვიანებით, შეიძლება ვკითხოთ: "რას ფიქრობთ და საუბრობთ თქვენ ან თქვენი მეგობრები, ომთან დაკავშირებით?" როგორც უნდა იყოს მათი პასუხი, ჩვენ უნდა მოვუსმინოთ ყურადღებით და გულდასმით, თუ რას ამბობენ ჩვენი მოსწავლეები. ამის მიხედვით, განვსაზღვროთ, ვის სჭირდება განსაკუთრებული დახმარება.

5. ამაზე საუბარი ბავშვს უფრო მეტად არ დასტრესავს ან შეაშინებს? ხომ არ სჯობს, საერთოდ გავჩუმდეთ?

არა და არა. თუ მათ ვუსმენთ, მხარდაჭერით და მგრძობიარედ ვპასუხოთ. რაც უნდა შემაშინებელი იყოს ზოგიერთი ემოცია, ბევრად უფრო საშინელია იმაზე ფიქრი, რომ მათზე საუბარი არავის სურს. ჩვენი დუმილით მათ ვეუბნებით, რომ ეს - ან ნებისმიერი სხვა მტკივნეული საკითხი - ზედმეტად საშინელი ან შემაშფოთებელია სასაუბროდ. ამ

შემთხვევაში, ჩვენზე დამოკიდებულ ბავშვებს შეიძლება დამატებით შიშის განცდა გაუჩნდეთ, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ვიზრუნოთ მათზე და მათი უსაფრთხოება უზრუნველვყოთ. მცირეწლოვან ბავშვებს განსაკუთრებით სჭირდებათ დაცულობის შეგრძნება, მხარდამჭერი ზრდასრულის არსებობა გვერდით, იმის განცდა, რომ მათ ცხოვრებაში უფროსებს შეუძლიათ მართონ რთული თემები და მზად არიან ბავშვების დასახმარებლად.

6. მხოლოდ მოსმენა ზედმეტად პასიური როლი ხომ არ არის? მიზანშეწონილია მოსწავლეებთან ჩვენს გრძნობებზე საუბარი?

ბავშვებთან მატრამვირებელი მოვლენების შესახებ უფროსების მიერ გრძნობების გაზიარების პროცესში რამდენიმე სირთულე არსებობს. გასათვალისწინებელია, რომ ჩვენ შეიძლება გადავტვირთოთ ისინი ჩვენი ზრდასრული სადარდებელით, ახალი კითხვები და შიშები გავუჩინოთ, ნაცვლად იმისა, რომ დავეხმაროთ უკვე არსებულთან გამკლავებაში. ზოგჯერ ბავშვებს ჰგონიათ, რომ უფროსებსა და მათ გრძნობებზე თავად უნდა იზრუნონ. ასევე, შესაძლოა ჩვენ, ჩვენი განცდის გაზიარებით, დავაბრკოლოთ მათი ფიქრის და ემოციის გამომხატველობა; აქცენტის ჩვენს სათქმელზე გადატანით, ვერ გავიგოთ ან გამოგვეპაროს, რა უტრიალებს ბავშვს გონებასა და გულში. დამატებით, შეიძლება აღმოვაჩინოთ, რომ ზედმეტი მოგვივიდა, მათ კითხვებზე პასუხი განვაგრცეთ, ვუპასუხეთ იმ კითხვებსაც, რაც არ იყო დასმული, მივაწოდეთ ჭარბი ინფორმაცია, რომელიც სასარგებლო არ არის. ამით დავიკმაყოფილეთ ჩვენი მოთხოვნილება, მიგვეწოდებინა მეტი ინფორმაცია და არ ვიზრუნეთ მხოლოდ იმაზე, რომ ბავშვისთვის ემოციის გამოხატვის თავისუფალი სივრცე შეგვექმნა.

თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ პასიურები უნდა ვიყოთ - კარგი მოსმენა ძალიან აქტიური პროცესია. მას შემდეგ, რაც ყურადღებით მოვუსმენთ, შესაძლოა მიზანშეწონილი იყოს ისეთი პასუხის გაცემა, რომელიც უზრუნველყოფს მათ დარწმუნებას, რომ ზრდასრულები ზრუნავენ და ცდილობენ ხელი შეუწყონ მათ დაცულობას, უსაფრთხოებას და მშვიდობას. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ მათი განცდები ნორმალურია, ჩვენი განცდის მსგავსია და რომ ჩვენ, ყველა ერთად, გავუმკლავდებით მოცემულ სირთულეს.

7. როგორ შეგვიძლია მოვუსმინოთ ბავშვს ყველაზე ეფექტური და სასარგებლო გზით?

როდესაც ვუსმენთ ბავშვებს, უნდა ვაჩვენოთ, რომ დაინტერესებული და ყურადღებიანი ვართ. შევეცადოთ, რომ დავინახოთ საკითხი მათი გადმოსახედიდან. ნუ შევაფასებთ მათ ნათქვამს, რაც უნდა ბავშვურად ან ალოგიკურად მოგვეჩვენოს თავიდან. თუ რამე არ გვესმის, ახსნა ვთხოვოთ. გამოვხატოთ ჩვენი პატივისცემა მათდამი, მათი იდეების და გრძნობების მიმართ.

როგორც მშობლებმა, მასწავლებლებმა და აღმზრდელებმა იციან, ბავშვებს ყოველთვის არ შეუძლიათ გამოხატონ ის, რასაც გულისხმობენ ან გრძნობენ. სიტყვები ყოველთვის არ ნიშნავს მათთვის იგივეს, რასაც უფროსებისთვის. ზოგჯერ ცოტა ფაქიზი დაკვირვება სჭირდება, რომ გავარკვიოთ, რა ხდება მათ მიერ წარმოთქმული საწყისი სიტყვების მიღმა. კომენტარები, როგორცაა: "საინტერესოა, შეგიძლია მეტი მითხრა ამის შესახებ?", ან "რას გულისხმობ...?", ან "რამდენი ხანია, გრძნობ...?" არის საკომუნიკაციო ტექნიკები, რომლითაც მივიღებთ მეტ ინფორმაციას ბავშვებისგან მათი განცდების შესახებ.

თუ ჩანს, რომ ისინი აზრის ჩამოყალიბებას ცდილობენ, განსაკუთრებით სასარგებლო და დამამშვიდებელი იქნება, დავეხმაროთ აზრის შეჯამებაში. მაგალითად, შეგვიძლია ვთქვათ: "თქვენ ამბობთ, გეშინიათ, რომ მტერი თავს დაგვესხმება?" ან "მაშ, თქვენ გაწუხებთ, ქალაქებში მცხოვრები ბავშვების დაბომბვა არ მოხდეს?" განმარტებითი კითხვები და განცხადებები ბავშვებს ეხმარება დააღაგონ თავიანთი იდეები და გრძნობები და დაინახონ, რომ უფროსებმა მოისმინეს და პატივი სცეს მათ, მათი აზროვნების პროცესში ჩარევის გარეშე.

კარგი მოსმენა ასევე გულისხმობს ყურადღების მიქცევას იმ საკითხებზე, რასაც ბავშვები შეგნებულად არ ამბობენ ან ჩუმდებიან/ფარავენ. გავითვალისწინოთ მათი არავერბალური შეტყობინებები - სახის მიმიკა, ჟესტი, პოზა, ხმის ტემბრი და სხვა, რაც ემოციებზე მიუთითებს.

ბავშვებისთვის დამამშვიდებელია უფროსების აღიარება, რომ მათი გრძნობები ნორმალურია. ისეთი კომენტარი, როგორც არის: "შენ ძალიან სევდიანი მეჩვენები, როცა ამაზე ვსაუბრობთ. მეც ვწუხვარ", - ანიშნებს ბავშვს, რომ გრძნობები არა მხოლოდ ნორმალური და გასაგებია, არამედ თქვენც გაქვთ მსგავსი გრძნობები და ცდილობთ გაუმკლავდეთ.

8. რა უნდა ვქნათ, თუ მოსწავლეს არ სურს ამ საკითხებზე საუბარი?

თუ კითხვებს სწორად ვსვამთ და მოსწავლეები ამ საკითხებზე საუბარში მაინც არ ერთვებიან, ნუ ვაიძულებთ. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ბავშვებს დავანახოთ, რომ პატივს ვცემთ მათ გრძნობებს. ეს ნიშნავს მათი უფლების პატივისცემას, არ ისაუბრონ იმაზე, რაზე ლაპარაკისთვისაც მზად არ არიან. არიან ბავშვები, რომლებსაც, უბრალოდ, არ აწუხებთ ეს საკითხები და არ არის აუცილებელი, მათ, ამ მხრივ, ცნობიერება ავუმაღლოთ. ზოგისთვის კი, იმის გაზიარება, რასაც გრძნობენ, საუბრის გარდა, უფრო ადვილად შეიძლება გამოიხატოს სხვა საშუალებებით, მაგალითად, თამაშის ან ნახატების დახმარებით. გაითვალისწინეთ სიგნალები, რომლებსაც მცირეწლოვანი ბავშვები აგზავნიან თამაშის, ხატვისა და წერის, მათი სპონტანური საუბრისა და სხვა გზების მეშვეობით. არ გამოგრჩეთ სხვა ნიშნები, რომლებიც შესაძლოა მიუთითებდეს მათ სტრესზე: გაღიზიანება, ძილის დარღვევა, კვების დარღვევა, განშორების პრობლემები და რეგრესი ასაკობრივ

განვითარებაში. თუ ბავშვის ქცევა ან მდგომარეობა უცნაური და დამაბნეველია, გთხოვთ მიმართოთ სპეციალისტს.

მოზარდები შეიძლება ერიდებოდნენ საუბარს, თუ აღიქვამენ, რომ მათი მშობლები და/ან მასწავლებლები განსხვავებულ აზრზე არიან. ამ ახალგაზრდებმა, უბრალოდ, უნდა იცოდნენ, რომ კომუნიკაციის კარი ღიაა, როდესაც ისინი მზად იქნებიან.

9. როგორ გავუმკლავდეთ განსხვავებულ ემოციებს, რაც ბავშვებს შეიძლება ჰქონდეთ მატრამვირებელ მოვლენებთან მიმართებაში?

ბუნებრივია, რომ ომთან დაკავშირებით ემოციების ფართო სპექტრთან გვექონდეს საქმე. ზოგიერთი ბავშვი სევდიანია, ზოგიც - შეშინებული, საკუთარი ოჯახის უსაფრთხოების გამო; სხვები დაბნეულნი იქნებიან, გაუჭირდებათ აღიქვან მოვლენები; და ზოგსაც კი მინიმალური რეაქცია ექნება. საქმე ხშირად გვექნება ემოციების ნაზავთან - შიში, მწუხარება, ბრაზი, დაბნეულობა, უმწობის განცდა.

ბავშვების განცდები, როგორც წესი, დაკავშირებულია განვითარების საკითხებთან, რომლებიც მათთვის ყველაზე აქტუალურია. ადრეული დაწყებითი სკოლის ბავშვებისთვის ეს, ჩვეულებრივ, იქნება დედისგან განცალკევებისა და უსაფრთხოების საკითხები; უფროსი დაწყებითი და საშუალო სკოლის ბავშვებისთვის - სამართლიანობისა და სხვებზე ზრუნვის საკითხები. მოზარდებისთვის ის ხშირად მოიცავს ეთიკურ დილემებს. ჩვენი მიზანია, შევიცნოთ რა აზრობრივი დილემის წინაშე დგანან და დავეხმაროთ მათ გადაჭრაში.

ზოგჯერ მოსწავლე შეიძლება აღფრთოვანებული იყოს სამხედრო გამარჯვებებით ან განაწყენებული, დამარცხების გამო. მნიშვნელოვანია მათი დახმარება, რომ შეკითხვებისა და გონებრივი შტურმის მეშვეობით გამარტივებული მოგება-წაგების აზროვნება უფრო გააღრმავონ და საკითხები მრავალწახნაგოვნად დაინახონ.

მოსწავლეები შეიძლება მოიხიბლონ სამხედრო ინვენტარითა და ტექნიკური შესაძლებლობებით. სასარგებლოა მეცნიერული და საინჟინრო პრინციპების შესწავლის და მოსწავლეთა აზროვნების გაღრმავების ხელშეწყობა, მათი წახალისებით, გაიაზრონ ტექნიკისა და ტექნოლოგიების როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგები ადამიანებისთვის.

უმჯობესია, თუ ემოციებისა და ფიქრების გაზიარების პროცესში ყურადღებას გავუმახვილებთ, რომ ის მზრუნველია, რომ ეს განცდები სხვების სიყვარულით არის გამოწვეული. ამით განვამტკიცებთ თანაგანცდის უნარს.

10. მას შემდეგ, რაც მოვუსმენთ მოსწავლეთა შიშებს, როგორ ვუპასუხოთ? სასარგებლოა მათთვის ფაქტების მიწოდება?

უმჯობესია, არ ვიჩქაროთ და არ ვუთხრათ ბავშვებს ყველაფერი, რასაც ვფიქრობთ ან ვიცით კონკრეტულ სიტუაციაზე. პირველ რიგში, ჩვენ შეგვიძლია მათ ვასწავლოთ დეზინფორმაციის მინიმალურ დონეზე შემოწმება, რომ დავეხმაროთ გაარჩიოს რეალური ფაქტი გამოგონილისგან. როდესაც მოვისმენთ მათ მიერ მოწოდებულ ფაქტებს, შეგვიძლია შევუსწოროთ მართებული ინფორმაციით - ანუ მივაწოდოთ ინფორმაცია მხოლოდ რეალურ კონტექსტში. მაგალითად, მათ შეიძლება ეგონოთ, რომ ერთი და იგივე ფაქტი ბევრჯერ მეორდება, რადგან ტელევიზიით ყოველდღე აშუქებენ (მაგ: twins-ტყუპები დაინგრა - „ტყუპები“ ბევრია და ყველას ყოველდღე აფეთქებენ).

ასევე, პირდაპირ კითხვებს შეგვიძლია პირდაპირი პასუხი გავცეთ. მაგ, ბავშვი კითხულობს: "რა არის ტერორისტი?" მოკლედ უპასუხეთ, ვინ არის ტერორისტი. დავეყოვნდეთ, მივცეთ ბავშვებს საშუალება განავრცონ ჩვენი თითოეული კომენტარი. ამით უფრო მეტს გავიგებთ იმის შესახებ, თუ რა ინფორმაციას ფლობენ.

პასუხი ზოგიერთ კითხვაზე, რომლებსაც მოსწავლეები სვამენ, ყოველთვის არ არის ნათელი და პირდაპირი, ზოგი გაცილებით ღრმაა. როდესაც ბავშვები სვამენ ისეთ კითხვებს, როგორიცაა: "როგორ მოხდა, რომ ომია?" ან "რა მოხდება, როდესაც ომი დასრულდება?" შეგვიძლია ავუხსნათ, რომ ზოგი ასე ფიქრობს, ზოგი კი სხვანაირად. შეიძლება ვკითხოთ: "რას ფიქრობ?" მნიშვნელოვანია ბავშვებმა გაიგონ, რომ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა და კონფლიქტის დანახვის განსხვავებული გზები.

ბავშვები ხშირად იყენებენ თამაშს ემოციებთან გასამკლავებლად, განსაკუთრებით სასარგებლოა თამაში ძალადობრივი მუხტისგან დაცლის პროცესში. მაგალითად, ომობანას თამაში ჩვეულებრივ გავრცელებულია და ამას მიზეზი აქვს. ზოგიერთს ჰგონია, რომ ომობანას თამაში არ არის მიზანშეწონილი სკოლის ტერიტორიაზე. თუ თქვენი სკოლა კრძალავს ომობანას თამაშს, მნიშვნელოვანია იპოვოთ სხვა გზები, სადაც ბავშვები ნეგატიური ემოციებისგან დაცლას მოახერხებენ და თავიანთ გონებასა და ფსიქიკაში აღბეჭდილი ძალადობრივი სცენების პროეცირებას კონსტრუქციული გზით მოახდენენ (სპორტი, თამაში, ხატვა). თითოეული თამაშისას, უმჯობესია, მასწავლებელი იყოს ფასილიტატორი, რათა თამაშმა საზიანო ფორმა არ მიიღოს, გააკეთოს კომენტარები და სპორტის ელემენტები შეიტანოს. იმისათვის, რომ თამაშმა ბავშვების საჭიროებები დააკმაყოფილოს, ის უნდა განვითარდეს და გართულდეს.

უფროსკლასელებისთვის/მოზარდებისთვის ისეთი კონფლიქტები, როგორიცაა ერაყის ომი, 11 სექტემბერი, რუსეთ-უკრაინის ომი, აჩენს მნიშვნელოვან ეგზისტენციულ კითხვებს, ძალადობის ფესვების, თანასწორობის, ტოლერანტობის მიმართულებით. ბავშვებს აინტერესებთ სტრატეგიები, სწორ-მართალი და ინფორმაცია კონფლიქტების საუკეთესო მოგვარების გზებზე. მოზარდები, რომლებიც შეშინებულნი არიან ომში საკუთარი პოტენციური ჩართულობით, უსაფრთხოების შეგრძნებასა და საყრდენს

ჰკარგავენ. ამ დროს, სკოლის სივრცეში უნდა არსებობდეს კომპეტენტური, სანდო, მხარდამჭერი ზრდასრული.

უფროსკლასელებმა უნდა მიიღონ ინფორმაცია კონფლიქტის მოგვარების გზებზე საომარ პირობებში, კონფლიქტის არაძალადობრივი გზით გადაჭრის კონკრეტული უნარების შესახებ ინფორმაციული პარალელით. ეს მათთვის არის შესაძლებლობა, გამოიკვლიონ კონფლიქტების მოგვარების ალტერნატიული საშუალებები და გზები და გაიაზრონ, რომ მაშინაც კი, როდესაც კონფლიქტი ძალადობრივი ხდება, ხალხი მის გადაწყვეტაზე მუშაობას განაგრძობს. გარდა ამისა, მათთვის ღირებული იქნებოდა დაფიქრდნენ იმაზე, თუ როგორ უნდა შეუწყონ ხელი მშვიდობასა და უსაფრთხოებას მათ სკოლებსა და უბნებში.

11. როგორ დავარეგულიროთ სიტუაცია თუ განსხვავებული მოსაზრებები წამოიჭრება?

კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბების პროცესში, უმნიშვნელოვანესია მოსწავლეებმა საზოგადოებაში აზრთა მრავალფეროვნება დაინახონ. მოსწავლეთა უმეტესობა იმეორებს იმ აზრებს, რომლებსაც ისმენენ ოჯახში, ახლო წრეში, მიკრო-სოციალურში. შესაბამისად, ნებისმიერი განსხვავებული აზრი მტრულად ეჩვენებათ. საკითხის მრავალწახნაგოვანი ხედვა აუცილებელი წინაპირობაა მათი სრულფასოვან მოქალაქედ ჩამოყალიბების პროცესში. აქაც, დაგვეხმარება მოსმენის ტექნიკაზე ყურადღების გამახვილება. მივაწოდოთ მაგალითი, როგორ გვანტერესებს და პატივს ვცემთ ჩვენ, მათზე უფროსი ადამიანები, ჩვენზე უმცროსის შეხედულებებს და ვასწავლოთ, რომ მათაც პატივი უნდა სცენ სხვის აზრს. წინააღმდეგ შემთხვევაში, დისკუსია სწორედ იმ ძალადობრივ/ძალდატანებით ფორმას იღებს, რასაც თავად ებრძვიან.

აზრთა სხვადასხვაობა ჯანსაღი პროცესია. თუმცა ხშირად, ეს განსხვავებები არაპროდუქტიულ კამათში გადაიზრდება. მნიშვნელოვანია, მოვერიდოთ განცხადებებს, რომლებიც კატეგორიულად უარყოფს მოზარდის მოსაზრებებს, როგორცაა: „როცა გაიზრდები, მიხვდები“ ან "შენ არ იცი, რაზე ლაპარაკობ". იმის ნაცვლად, რომ დაუყოვნებლივ დაუპირისპირდეთ განცხადებებს, რომლებსაც არ ვეთანხმებით, შეგვიძლია დავსვათ კითხვები, რომლებიც დაგვეხმარება, ისინი სწორ გზაზე დავაყენოთ. ამ პროცესში, არსებობს დამხმარე წინადადებები: „მე სხვაგვარად ვუყურებ მოვლენებს“; „საინტერესოა შენი აზრი, თუმცა მე ვფიქრობ, რომ ... რას ფიქრობ შენ ამ საკითხზე?“ და ა.შ.

12. როგორ შეგვიძლია ვისაუბროთ მოსწავლეებთან თუ ვგრძნობთ, რომ ფაქტებისა და საკითხების ჩვენეული გაგება არასაკმარისია?

საბედნიეროდ, ჩვენ არ გვჭირდება ვიყოთ ექსპერტები ან ვიცოდეთ ყველა ფაქტი რაიმეს შესახებ, იმისთვის, რომ მოსწავლეებს მოვუსმინოთ. უმცროსკლასელი ბავშვების კითხვები იშვიათად მოითხოვს რთულ შინაარსობრივ პასუხებს. როდესაც უფროსკლასელები

ითხოვენ ინფორმაციას, რომელიც ჩვენ არ გვაქვს, კარგია, თუ ვიტყვით მსგავს რამეს: "ეს საინტერესო კითხვაა და მე არ ვიცი პასუხი. როგორ გავარკვიოთ ეს ერთად?" იმის გარკვევის პროცესი, თუ სად უნდა მიიღონ ინფორმაცია და გაიარონ ნაბიჯები მის მოსაპოვებლად, შეიძლება იყოს ძლიერი დამამშვიდებელი გამოცდილება ბავშვებისთვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მათ ამაში სანდო ზრდასრული ეხმარება. თუ ბავშვის კითხვები ამ ტიპის კვლევას არ ექვემდებარება, შეგვიძლია ვუთხრათ: "მე არ ვიცი ამაზე პასუხი და არ ვარ დარწმუნებული, რომ ვინმემ იცის"; „მსოფლიოში ბევრი მოაზროვნე ადამიანი მუშაობს ამ საკითხზე“.

13. როგორ შეგვიძლია დავამშვიდოთ და ვანუგეშოთ მოსწავლე, როცა თავად არ ვგრძნობთ თავს იმედიანად?

ერთი მხრივ, რა თქმა უნდა, მიზანშეწონილია ზრდასრულებმა აღიარონ, რომ მათაც აწუხებთ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები და რომ ემოციური დაძაბულობა და შფოთვა, ასეთ დროს, ნორმაა. მეორე მხრივ, ჩვენ არ უნდა დავტვირთოთ ბავშვები ჩვენი გრძნობებით. თუ გვგონია, რომ საზრუნავი ჩვენს ცხოვრებაში ისედაც ბევრია და ბავშვებისთვის მათი გაზიარება ზედმეტი იქნება, შეიძლება ამისთვის სხვა მხარდამჭერი ზრდასრული ვიპოვოთ.

14. რა შეგვიძლია ვთქვათ ისეთი, რაც დამარწმუნებელიც იქნება და დამამშვიდებელიც?

მხოლოდ ბავშვების მოსმენით ჩვენ მათ ვამშვიდებთ. ჩვენი უნარით, ვიყოთ მშვიდად, ვადასტურებთ, რომ მათი შიშები არც ისე საშიშია, რომ ვერ გაუმკლავდნენ. ბავშვების გაგების მცდელობით, ჩვენ მათ ვაჩვენებთ, რომ მათი გრძნობები მათი გრძნობები ნორმალურია და ისინი მართლ არ არიან თავიანთ საზრუნავთან. ჩვენ მათ გულწრფელად უნდა ვუთხრათ, რომ მათი საზრუნავი საკმაოდ ჯანსაღია, რომ სასოწარკვეთაში არ ჩავარდნენ. შფოთვის, შიშის ან უძლურების ყველაზე ეფექტური ანტიდოტი მოქმედებაა. ჩავრთოთ ისინი საუბარში იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობს მათი სკოლა, რათა ის უფრო მშვიდობიანი ადგილი გახდეს და გამოვიკვლოთ გზები, რომლითაც ისინი შეძლებენ, თავიანთ სკოლაში, სახლსა და სამეზობლოში, მშვიდობიანი საზოგადოების შექმნის აქტიური მონაწილეები გახდნენ.